

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-14 წელი.

საქართველო


27 იანვარი

გამოცემის № 37 (1207)

1958 წ.

№ 37 (1207)

ფასი 30 კაპ.



როგორც ვიუწყებოდით ლენინგრადში დამთავრდა კალათბურთელთა საქვეშინო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის შეხვედრები. სურათებზე თქვენ ხედავთ თბილისის დინამოელთა და მოსკოვის არმიელთა მატჩის მომენტებს. (მარცხნივ) სახიფათო მდგომარეობა თბილისელთა ფართან. ბურთისათვის იბრძვიან ხაზარაძე (№ 7) და არმიელი ბოჩკაროვი (№ 8). (მარჯვნივ) დინამოელთა თავდასხმელი გ. აბაშიძე (№ 4) გადას მოწინააღმდეგის ფარკვეშ.

ბოტინი

25 მარტს შედგა VIII პარტია, რომელშიც თეთრებით თამაშობდა ბოტინიკი.

სმისლოვა ისევ ძველი დღეა ცვა გაითამაშა, მაგრამ აქვერად შეცვალა სვლების თანმიმდევრობა, რათა არ გამოსულიყო ზემოთ სისტემა. როგორც ცნობილია, ამ სისტემის გამოყენებით ბოტინიკმა II და VI პარტიები მოუგო მსოფლიო ჩემპიონს. ახლა თამაში წარმოართა სხვა ვით, რომელიც ორივე მეტოქეს კარგად აქვს შესწავლილი.



მე-11 სვლაზე სმისლოვა მეფის ფრთაზე ბოტინის გაჩაღებით ხელთ იგდო ინიციატივა. ყოველი სვლით მისი მუქარები სულ უფრო საშიში ხდებოდა. ამ დროს ბოტინიკმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო მან დაიწყო ფიგურების გაცვლა და პოზიციის გამარტივება. ბოლოს მსოფლიოს ყოფილმა ჩემპიონმა შეძლო ლზიერების გაცვლა, მაგრამ მის დაუსუსტლა პაიკები. თამაში რთულ დაბოლოებაში გადავიდა.

როდესაც 30-ე სვლაზე სმისლოვა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი პაიკის მოგებისათვის, ბოტინიკმა გამოაწერა მდგომარეობა. მაგრამ მალე საქმეში ცაიტოტი ჩაერია, რასაც შეეძლო დაერღვია პარტიის ნორმალური მსვლელობა. 36-ე სვლაზე ბოტინიკმა სერიოზული შეცდომა დაუშვა, რაც სმისლოვა ვერ გამოიყენა.

ამ დღეს პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო თანხარ მდგომარეობაში. ამრიგად VIII პარტიის შემდეგ ანგარიშია 5:2 (ერთი გადადებული პარტია) მ. ბოტინიკის სასარგებლოდ.

წაიკთხეთ მე-4 გვერდზე კორესპონდენცია მოსკოვიდან „შეიცვალა მათი მისამართი“, რომელიც შეეხება „დიდ მატჩს“.

საქვეშინო შეჯიბრების წინ

დღეს, 27 მარტს, ლელოში იწყება საბჭოთა კავშირის საუკეთესო მესტერულურთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს 70 უძლიერესი სპორტსმენი. პროგრამაშია სრულად ადგილიდან და მრგვალ სტენდზე, რადგან მხოლოდ ეს ორი სახეობა შედის მსოფლიო პირველობის პროგრამაში. თვითუფლ მონაწილეს ადგილიდან სრულად მიეცემა სამასი სამიზნე, ხოლო მრგვალ სტენდზე — 200. ამასთან, ყველა სპორტსმენს

პირველი პეროკული გურნირი

მიმდინარე წლის დასაწყისში კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის ევროპულმა კომიტეტმა გადაწყვიტა ჩაატაროს ევროპის თასი ამ კონტინენტის სახელმწიფოთა ჩემპიონებს შორის (ვაჟთა გუნდები). ამ გადაწყვეტილებამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია და იგი, ამ პირველ ტურნირში მონაწილეობას ვეზულობს 23 სახელმწიფო.

თასში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან ოთხი გეოგრაფიული ზონის მიხედვით.

„ა“ ჯგუფი. სკო (რიგა, სსრ კავშირი), პეტ პუმპოლდტ-უნივერსიტეტი (ბერლინი, გდრ), „ლეგია“ (ვარშავა, პოლონეთი), „პანტერიტი“ (პელსინცი, ფინეთი).

„ბ“ ჯგუფი. „ბე ქენევა“ (შვეიცარია), „სლოვან-თრბისი“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია), „სიმენტალი“ (მილანი, იტალია), „გულვი“ (ამსტერდამი, პოლანდია), „იუნიონ ბაბელსბერგი“ (ავსტრია), „პონველი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

„გ“ ჯგუფი. სირია, ლიბანი, რუმინეთი, „პანთელნიოსი“ (აფენი, საბერძნეთი), თურქეთი, „ასკ ოლიმპია“ (ლიუბლიანა, იუგოსლავია), „აკადემიკოსი“ (სოფია, ბულგარეთი), „მაკაბი“ (ტელ-ავივი, ისრაელი).

„დ“ ჯგუფი. „ენტელა“ (ბერლინი, ლუქსემბურგი), „როიალ IV“ (ბრიუსელი, ბელგია), „რედლი“ (მადრიდი, ესპანეთი), „ფეხ ლისაბონი“ (პორტუგალია), „ას ვილერბანი“ (საფრანგეთი).

წინასწარი თამაშები ევროპის თასზე კალათბურთში დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონმა — რიგის არმიელთა გუნდმა თავის ქალაქში მიიღო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონი — ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტის გუნდი. რიგელთა უპირატესობა აშკარა იყო მთელი თამაშის მანძილზე. მათ მოიპოვეს გამარჯვება ანგარიშით 85:56.

ამავე გუნდების მეორე შეხვედრამ შედეგად ბერლინი.

ორი დიდი ღონისძიება

მიმდინარე წლის სეზონი მეტად მდიდარია მრავალი პირველობის ხოვანი ღონისძიებებით. თბილისელი სპორტის მოყვარულები სარბიელზე იხილავენ ირანელ მოკრივეებს, რუმინელ, უნგრელ და ამერიკელ კალათბურთელებს, თურქ და ფინელ მოკიდავეებს, იტალიელ ფეხბურთელებს. გერმანელ წყალბურთელებს, ბულგარელ მძლეოსნებს და შ. შ. ამ საერთაშორისო მატჩების გარდა თბილისში მოეწყობა მრავალი საქვეშინო პირველობა და, რაც მთავარია, ორი დიდი ღონისძიება — მოსწავლეთა საქვეშინო სპარტაკიადა და სტუდენტთა საქვეშინო თამაშების (ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების) ზონალური შეჯიბრება.

თბილისში ჩატარდება მოსწავლეთა საქვეშინო სპარტაკიადა და ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სტუდენტთა ზონალური თამაშები

მოსწავლეთა საქვეშინო სპარტაკიადის ჩატარება თბილისში დიდი მოვლენაა რესპუბლიკის ფიზკულტურულთა და სპორტსმენთა ცხოვრებაში. აგვისტოს შუა რიცხვებში დაიწყება ეს საინტერესო კომპლექსური ღონისძიება. ჩვენი დედაქალაქის სპორტის მოყვარულთა წინაშე წარსდგება საბჭოთა სპორტის მომავალი სპორტის ცამეტ სახეობაში. ფრენბურთელთა, კალათბურთელთა, ნიჩოსანთა, ველოსიპედისტთა, მსროლელთა, მაგიდის ჩოგბურთელთა და სხვა სახეობაში წარმომადგენელი მსპეები და გოგონები აქ გამოცდიან თავიანთ ძალებს დიდ სარბიელზე გასვლის წინ.

თვის. ამ ღონისძიებისათვის დაკავებული იქნება ქალაქის ყველა ბაზა. ამიტომ, ზოგიერთს დაქირდები მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია. მაგალითად, კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონზე არსებული ფრენბურთის მოედნები გადაკეთდება და დაიდგმება კალათბურთის ფარები, ხოლო ყოფილი „პიშჩიკის“ ფრენბურთის ბაზას დაემატება კიდევ რამდენიმე მოედანი. თუ რომელიმე ბაზა იქნება კიდევ გამოყენებული, ეს დაუსტების პროცესშია. ეს ყველაფერი კარგი. რესპუბლიკის ფიზკულტურულ სპორტულ ორგანიზაციებს დიდი მასშტაბის ღონისძიების ჩატარების საქმით გამოცდილება აქვს და ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომი ორგანოების დახმარებით ამჯერადაც არ ვკამთ სირცხვილს.

თბილისს ეწყვეა 19 სპორტული კლუბაცია (დელეგაციაში შედის 100-ზე მეტი ახალწვენი). ასეთი დიდი რაოდენობის სტუმრები ერთად ჩვენ თითქმის ასობით არ მიგვიღია. საქართველოში მასპინძლობა და ყოველგვარი მოსამზადებელი საქმიანობის თავითვე დაწყება. ასეც ხდება. ქმეში ჩარეულია შემდგომი ორგანიზების და სპეციალური კომისიები უშაობენ სპარტაკიადის ყოველგვარი და სანიმუშოდ მომზადებისა.

მაგრამ მთავარი ის არის, თუ როგორ გამოვა სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტული დელეგაცია? უნდა აღინიშნოს, რომ გასულ

წელს მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ცუდად როდი გამოვიდით — საერთო მესამე ადგილი დავიკავეთ და სპორტის ცალკეულ სახეობებშიც გამარჯვებები მოვიპოვეთ. მაგრამ წელს, წელს შევძლებთ მოპოვებულ წარმატებათა გაზრდას ან მის შენარჩუნებას? უნდა შევძლოთ. ეს უდავოა. ამისათვის საქირთა მთელი ძალების დარაზმვა და დაძაბვა და, რაც მთავარია, საქვეშინო სპარტაკიადის წინა ეტაპების წარმატებით ჩატარება.

განსაკუთრებით დაძაბული მუშაობის გაცემა მოგვიხდება მძლეოსნობაში. გარდა იმისა, რომ გასულ წელს სპორტის ამ სახეობაში ჩვენი გუნდი სპარტაკიადაზე სამარცხვინოდ გამოვიდა, წელს შეჯიბრების პროგრამა მეტად გართულებულია. მაგალითად, კაბუტა შორის გათამაშდება მძლეოსნობის 17 სახეობა, აქედან 12 სახეობაში აუცილებლად ჩასათვლელი ნორმატივი უნდა აჩვენოს 2-2-მა მონაწილემ. ერთი მონაწილის მიერაც კი ნორმის შეუსრულებლობისას დანარჩენთა შედეგები უქმდება. როგორც ვხედავთ, მდგომარეობა მეტად რთულია. საქმარისა სადმე ფეხი წავიტხოთ და სპორტის წამყვან სახეობაში ბოლო ადგილზე გადავარდებით.

მეორე ღონისძიება, რომელიც საქვეშინო ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს მიეძღვნა, სტუდენტთა საქვეშინო თამაშებია. ამ დიდი შეჯიბრების ერთ-ერთი ზონა თბილისში ჩატარდება. აქ თავს მოიყრიან აზერბაიჯანის, სომხეთისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სტუდენტი-სპორტსმენები. სპორტის 18 სახეობაში გაიმართება შეჯიბრებები. ჩვენმა რედაქციამ უკვე დაიწყო რეიდი იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ემზადებიან რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები თამაშებისათვის. გამოვაკვეყნეთ მასალები ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტზე, მალე სხვა ობიექტებსაც

გაფუქვებთ. თამაშებისათვის მზადება უკვე დაწყებულია.

ამ ორ ღონისძიებას განსაკუთრებული ყურადღება იმითმ ექცევა, რომ აქ უნდა გამოვლინდეს ის ძალები, რომლის საშუალებითაც რესპუბლიკამ უნდა იბრძოდოს საბატიო ადგილისათვის 1959 წელს, ხალხთა სპარტაკიადაზე. ამიტომ, სათანადო ორგანიზაციებს არავითარი უფლება არა აქვთ თუნდაც ოდნავ მაინც შეა-

ნელონ მზადება — ნაკრები გუნდების დაკომპლექტებასა და წვრთნაზე ზრუნვა.

სტუდენტთა თამაშებსა და მოსწავლეთა სპარტაკიადაზე სტუდენტთა და მოსწავლეთა სპორტსმენებმა რესპუბლიკის მშრომლებს უნდა დაუბტვიან, რომ მათზე გაყეულ ამგვარულად არ ჩაუვლია, რომ ისინი გვახანებენ ყველა წინამდებარე შეჯიბრებაში.

ფიზიკულ-ტურული კაუზის კომპლექსი

ფიზიკულ-ტურული კაუზის ქვეყნის მოცემული დეტალები და ვარჯიშთა თანმიმდევრობა განსაზღვრულია ისეთი პროცესის მუშაობისთვის, რომელიც შრომითი პროცესისთვის და მასთან დაკავშირებულია ერთდროულად სწრაფი მოძრაობის ხელშეწყობა და თითოეტი ჯგუფის მდგომარეობაში. ნახევრად მოხრილი მკლავები უმეტეს შემთხვევაში ჩამოიდგებილია, თავი და ზედა — წინ დახრილი, კუნთთა უმეტესი ჯგუფები სტატიკურ მდგომარეობაში იმყოფება.

წინამდებარე წერილში მავალითა-სათვის აღებული მკერდის პროცესისა. გამოიკვეთილია, რომ მკერდავთა პროცესის დაგეგმვა წარმოადგენს უკან გამოხედილობა გულმკერდში — კიფოზი, ამის გათვალის-

წინებით კომპლექსში სავიზო „განვითარების“ ტიპის ვარჯიშების უხვად გამოყენება, ვარჯიშები გულმკერდის არეში თავის უკან გადახრით, გამართული წელიწადი ვარჯიშების შესრულება თავის მალა აწევით, აგრეთვე უკუხეობები ზღვარად თავის უკან გადახრით.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპლექსში სავიზო ჩართულ იქნას მოღუწებითი ვარჯიშები ზედა და ქვედა კიდურების კუნთთათვის.

მკერდის ორგანიზმის პროპორციული განვითარებისა და ფუნქციონალური მდგომარეობის ამაღლებისათვის ფიზიკულ-ტურული კაუზის კომპლექსში ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ ვარჯიშების გამოყენებას, რომლებიც გამოიწვევენ მუშაობის დროს დაჭიმულ მდგომარეობაში მყოფი კუნთების შეკუმშვას და, პირაქით, შეკუმშული კუნთების დაჭიმულობას.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოხრილი მდგომარეობაში ჯდომის შემდეგ ბუნებრივ მოთხოვნისას წარმოადგენს ხერხემლის სვეტის გასწორება და ღრმა სუნთქვა, იმით კომპლექსში პირველ ვარჯიშად უნდა მიექცეს „განვითარების“ ტიპის ვარჯიშები, რომლის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ზღვარად გადახრის გულმკერდის არეში თავის უკან გადახრით. ამ ტიპის ვარჯიშებში სავიზო ჩართულ იქნას თითების გაშლით, მოშუქებით და მარჯვენა მხარით მოძრაობის ზღვარად.

მკერდის ქვედა კიდურების კუნთები შრომის პროცესში სტატიკურ მდგომარეობაშია, რაც ხელს უშლის სისხლის ნორმალურ მიმოქცევას, საამისოდ კომპლექსში მეორე ვარჯიშად სავიზო შევიტანთ ვარჯიშები მოღუწებაზე ქვედა კიდურების კუნთთათვის, მოღუწებულ ფეხების გაქნევის, რხევითი და „დაბერტყვით“ მოძრაობისა და სხვ.

კომპლექსში რიგით მესამე ვარჯიშად ჩვენს მიერ რეკომენდებულია ქვედა და ზედა კიდურების მოძრაობებით ბუქნები მუხლების განზე გაშლით და გაუშულად, ფეხის ზედა-

ბის მოღუწებითი „დაბერტყვა“, მოღუწებულ ფეხის უკანა და წინ გაქნევის, იგივე მარცხენა ფეხით.

მითითებანი: ვარჯიში სრულდება ქნევითი ფეხის ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, ვარჯიში თვითული ფეხით მეთრდება 4-5-ჯერ მორიგობით.

მესამე ვარჯიში

ს. მ. ძირითადი ღვაწი. 1-2. მუხლების განზე გაშლით ორი ღრეადი ბუქნი, წინმკლავი, ქნევები.

3. ადგილი, განმკლავი ზღვარად ნები წევით.

4. მიმკლავი.

მითითებანი: ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში სრული ამპლიტუდით, მეორდება 4-6-ჯერ, ბუქნის დროს ზედაში შეუღლდაა. სუნთქვის შეკავება არ ხდება, იგი თანაბარია.

მეოთხე ვარჯიში

ს. მ. ფეხშითი ღვაწი, დინჯი. 1. წელსამართი წინხევი, წინმკლავი, ხელის თითები იატაკზე შეხება, თავის უკან გადახრა.

2. ზემართი, დინჯი, თავის აწევა.

3. მხრების უკან გადაშლით უკუხევი, თავის უკან გადახრა.

4. ზემართი, თავის აწევა.

მითითებანი: ვარჯიში სრულდება საშუალო ტემპში, სრული ამპლიტუდით, ენერგიულად. მეორდება 4-6-ჯერ, ხევის დროს ფეხები მუხლის სახარში არ იხრება, წარმოებს იმო-სუნთქვა, ხოლო გამართვის დროს — შესუნთქვა.

ს. თედევი, ფიზიკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრის უფროსი მასწავლებელი.

გვჭირდება ყოველგვარი მომზადება სპორტისთვის

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რადიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოო ტანვარჯიშს მუშებისათვის. მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ ამ საქმის სპეციალისტთა შესახებ, არ უნდა დავივიწყოთ, რომ გარდა სპეციფიკური საკითხებისა (ვარჯიშების შერჩევა), ისინი კარგად უნდა იყვნენ გაცნობილი წარმოების თავისებურებებს, პროდუქციის დამამუშავებელსა და მათთან ბრძოლას.

თბილისის ფაბრიკა-ქარხნებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა ჯერ კიდევ არადაამთავრებულია ტემპებით მიმდინარეობს და ბევრად, სადაც ვარჯიშების ჩატარება წარმოებს, მეთოდისტები იჩენენ მხოლოდ ცალმხრივ ცოდნას. მათს უმრავლესობას უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ფიზიკური კულტურის დარგში, სადაც სასწავლო პროგრამაში ერთობ მცირე ადგილი აქვს დათმობილი ყველა იმ საკითხის სწავლებას, რომლებიც შემდგომში პრაქტიკულად უნდა გამოადგეს სპეციალისტს.

ხევის ახრით, წარმოებაში ფიზიკური კულტურის საკითხების შესწავლას პიგიენის კურსში მეტი ადგილი უნდა დაეძინოს, საიდანაც გარკვეული ნაწილი გამოყოფილ იქნას პრაქტიკული მეცადინეობისათვის.

ფიზიკულტურის ინსტიტუტი ახლოს უნდა იდგას წარმოებასთან, უკეთესად იცნოდეს მის სპეციფიკას, მაგრამ არც ის იქნება ურიგო, თუ სხვა უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულნიც მიიღებენ თუნდაც მცირე თეორიულ ცოდნას იმ მიზნით, რომ შემდგომში გამოიყენონ იგი თავიანთ სამუშაოზე.

ფ. რუსიშვილი

რატიონალური ასრულებენ დადგენილებას?

საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს დაავალა სამინისტროებთან ერთად შემუშავებისათვის ღონისძიებანი წარმოებაში დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიშის დასანერგავად, ყურადღება გაემთხვილებინათ დროის ტანვარჯიშისა (მუშაობის დაწყებამდე) და სამუშაო დროს რეგულარულად ფიზიკულტურული პაუზების ჩატარებაზე. აღნიშნული დადგენილებით გადაწყვიტა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი: წარმოებაში, მტკ-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტების შტატში აყვანის შესახებ შრომის დაცვის სახსრების ხარჯზე.

საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ დააწესა ვადამდე რეგულარული მუშაობის დასაწყისში ჩატარება სათანადო მუშაობის წარმოება-დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიშის დასანერგად. ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა ფიზიკულტურის კოლექტივის საბჭოებთან ერთად ფართო საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობა დაიწყო დასახულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

რესპუბლიკის ისეთ მსხვილ წარმოებებში, როგორცაა რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ზესტაფონის ფორთხანა და სხვ.

დაიწყო საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვა. მეთოდისტები შეუდგნენ ახსნა-განმარტებითი მუშაობის ჩატარებას მშრომელთა შორის საწარმოო ტანვარჯიშის მნიშვნელობის შესახებ, შემუშავეს გეგმები მისი ფართოდ განვითარებისათვის.

მაგრამ როგორც ეს ცხადყო ამ საკითხის საფუძვლიანმა შესწავლამ, წარმოება-დაწესებულებათა უმრავლესობაში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვასა და განვითარებას არ მძევსა სათანადო ყურადღება. სწორედ ამიტომ ფიზიკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ქუთაისისა და ფოთის წარმოებებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვის საქმე არადაამთავრებულადა ჩათვალა. აღნიშნული ქალაქების პროფკავშირული, სამეურნეო და ფიზიკულტურული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ნაელბად ზრუნავენ

ამ დღემდამდე ღონისძიების ცხოვრებაში გატარებისათვის. განაკლებით ქუთაისის მაულის ფაბრიკის, ლიტაონის ქარხნის, აბრეშუმსაქსი კომბინატის, საკონსტრუქციო ქარხნის, ფოთის საწარმოო პროფკავშირულ, სამეურნეო და ფიზიკულტურული ორგანიზაციების ნელმდამდგენებს საკავშირო პროფკავშირული დადგენილებების შესრულებლობა? საინტერესოა, რაში იღებს ხელფასს (780 მან.) ზუგდიდის ენგურის ქალაქის კომბინატის მედიცინისტი ა. ქირია, თუ იგი კომბინატის 9 საექსპლუატაციო მხოლოდ 3 საამქროში „ახერხებს“ საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებას?

საწარმოო ტანვარჯიში საყოველთაო საქმეა. ამიტომ პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტებმა სამინისტროებთან ერთად უნდა შემუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი და, გარდა ამისა, მიეთითოს საწარმოთა ხელმძღვანელებს, რათა სამუშაოზე მოწვეულ იქნან კვალიფიციური მეთოდისტები. სამინისტროების შრომისა და ხელფასის განყოფილებებმა დროულად უნდა დაადგინონ მეთოდისტის ხელფასები (ფიზიკულტურის ინსტიტუტის ხელფასის დაცვით). სამინისტროების ბრძანებები საწარმოო ტანვარჯიშზე უნდა ეგზავნებოდეს მის სისტემაში შემაჯავალ ყველა წარმოებას, ხოლო სპორტულმა საზოგადოებებმა ფიზიკულტურის კოლექტივების დასამზარებლად საჭიროა შემუშაონ და გაუგზავნონ მათ საორგანიზაციო-მეთოდური სახის მითითებანი და ვარჯიშების კომპლექსი, საჭიროა კომპლექსური ორგანიზაციებთან ერთად მოაწყონ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტებისა და ფიზიკულტურული აქტივის სემინარები. გამოცენ პრაქტიკები, ლოზუნგები და სხვ.

ბ. სომხიშვილი

სკინზერი-ველოსიპედისტის საგზაუზულო ნაკრები

მას შემდეგ, რაც სკინზერი-ველოსიპედისტი გივილი ზამთრის საფრთხელ მომზადებას (ვარჯიში „შტანგით“, ტანვარჯიშული იარაღები, მძლავრული ვარჯიშები, კროსი და ა. შ.), იწყება წვრთნა ქალაქგარეთ გზატკეცილზე და უამინდობის შემთხვევაში — ველოსიპედზე.

პირველი მეცადინეობანი უმჯობესია წარმოებულ იქნას საგზაო-სპორტული ველოსიპედებით. პირველი გასვლა გზატკეცილზე სპორტსმენს ძლიერ დღის, ვინაიდან გზატკეცილის ზედაპირი უსწორმასწოროა, ამიტომ ვარჯიში სავიზო პატარა ვადამცემთა ტოლობაზე (46X20-62), ნელ ტემპში, 60-90 წუთის ხანგრძლიობით.

ვარჯიშს უნდა ჰქონდეს ჯგუფური ხასიათი, რადგან ჯგუფში ვარჯიში სპორტსმენს გამოიწვევებს ჯგუფური რბოლის ტაქტიკას, ორიენტირების, სითამამისა და ყურადღების გამახვილების გრძობას.

რამდენიმე ასეთი მეცადინეობის შემდეგ, მარტის შუა რიცხვებიდან სპორტსმენს უნდა განაგრძოს გზატკეცილზე ვარჯიში სატრეკო ველოსიპედით, კვირაში ოთხჯერ, ვადამცემთა ტოლობის ცვალებადობით. იმის გამო, რომ სატრეკო ველოსიპედი უფრო მაგარი და უძრევია საგზაოსთან შედარებით და გზატკეცილის ზედაპირიც არაა ისე სწორი, როგორც ტრეკისა, სპორტსმენმა მანქანის უნდა იქნას უნდა დაბლა დაწიოს 1.1,5 სანტიმეტრით და გადაანაცვლოს უკან 2 სანტიმეტრით. ეს საგზაოსთან ადვილად ამკობს ნეღრების. 6-8 ვარჯიშის შემდეგ ველოსიპედისტი უნდა დაუბრუნდეს ნორმალურ ჯდომას.

სატრეკო ველოსიპედს, რომლითაც წვრთნა წარმოებს გზატკეცილზე, უკანა თვალზე სავიზო აუცილებლად გაუკეთდეს მუხრუჭი უბედური შემთხვევის თავიდან ასაცილებლად.

სპორტსმენს მთელი ვარჯიშის განმავლობაში ხელი ჩავლებული უნდა ჰქონდეს საკის მოღუწულ ნაწილში, ღრმად, როგორც ტრეკზე ვარჯიშის დროს, ვარჯიშის დროს. ასეთი ჯდომის შენარჩუნება დადებითად მოქმედებს სასუნთქ ორგანოებზე.

პირველი 8-10 მეცადინეობის შემდეგ

დაგ თანდათან შეიძლება გადიდეს ვადამცემთა ტოლობა ისე, რომ ველოსიპედის მანქანის საფრთხელ ტემპში მუშაობის, ყოველ მეცადინეობაზე კარგია 5-6 აჩქარების შესრულება სხვადასხვა მანძილზე (მეცადინეობა, 2 აჩქარება 200 მეტრზე სწორ გზაზე, 3 აჩქარება 400 ან 600 მეტრზე დაღმართში, ერთი 100-მეტრის აჩქარება დაღმართის დასაბრუნებლად ან ქარის წინააღმდეგ. ამ აჩქარებათა შესრულება საჭიროა ნელი სვლიდან, თითქმის ადგაზე დროშიდან. ნიშანს აჩქარებისათვის ველოსიპედისტი თვითონ აძლევს საკუთარ თავს, ასეთი მოწყვეტილიდან სპორტსმენში ავითარებს რეაქციის სისტემატო ძახლის უკეთ აღქმისათვის.

გამკვლევებითი სისწრაფის გამოშედეგებისათვის გუნდურ ვარჯიშში სასურველია ლიდერობის ხშირი ცვლა დახლოებით თანაბარი ძალის პარტიორების შორის. ძალის გამოშედეგებისათვის აუცილებელია მუშაობა აჩქარებით აღმართების დასასრულს. მოულოდნელ მოწყვეტაზე და საპასუხო რეაქციაზე ჯგუფში ვარჯიშისას საჭიროა თვალყურის დევნება ყველა ველოსიპედისტისათვის.

სეზონის გახსნის მოახლოებისას, ტრეკზე სავარჯიშოდ გადასვლამდე, ველოსიპედისტმა უნდა იმუშაოს ცვალებად ვადამცემთა ტოლობით (84-დან 92-მდე), რისთვისაც გამოიყენება ორმხრივი კბილანიანი უკანა თვალი. გამოიყენოს შემთხვევაში, თუ სპორტსმენს სურს მხოლოდ სისწრაფეზე მუშაობა, შეიძლება დაყენებულ იქნას დიდ ვადამცემთა ტოლობა (ვაუები — 96-98, ქალები — 94-96). ასეთ შემთხვევაში სპორტსმენს მანძილს გადას ნელ ტემპში (დაჭურვის სახით) და დაღმართთან მისვლისას განსაზღვრული ადგილიდან იწყებს მოწყვეტით მუშაობას მთელი ძალით, რასაც ათავარებს ფინიშით. ასეთი მოწყვეტისას სპორტსმენს ველოსიპედისტი აჩქარებს.

ასეთი ვარჯიში სპორტსმენს-ველოსიპედისტს ამაღლებს ძირითადი წვრთნისათვის ტრეკზე.


გ. ჯონჯოლიანი, სპორტის ინსტიტუტი.

ბათუმი

ბათუმში მოეწყო ქალაქის გელო-სინედისტთა რეკლური შეჯიბრება კომკავშირის საქალაქო კომიტეტის გარდაამავალ თასზე. საპატიო ჯილდოსათვის იბრძოდნენ „განთიადის“, ბათუმის პედინსტიტუტის და სხვათა გუნდები.

ვაჟთა შორის დისტანცია თანაბარდროში (36.52,0) დაამთავრეს პირველი საშუალო სკოლის მოსწავლემ რ. ჩხარტიშვილმა, ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშამ გ. კუტუბიძემ; ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშამ ა. გოგინავამ და პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ჩილიჯიანმა. ქალთა შორის ბრძოლა პირველობისათვის ლ. ენიკინასა და სპორტის ოსტატ ვ. იურკინას შორის მიმდინარეობდა. ვაიმარჯვა ენიკინამ, რომელმაც დისტანცია დაფარა 20.52 წუთში. იურკინა გამარჯვებულს ჩამორჩა 10 წამით.

გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და თასი მოიპოვა „განთიადის“ ბრველმა გუნდმა.



სურათზე: ბათუმის ველოსინედისტთა რეკლური შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ვ. ენიკინა (მარცხნივ) და რ. ჩხარტიშვილი (ქვევით). მარჯვ — მონაწილენი უახლოვდებიან ფინიშს.
ფოტო ვ. გრიშჩენკოსი

სპორტული ქრონიკა

წაღწევის რაიონის სოფელ ქალის საშუალო სკოლის სპორტულ ბაზებზე გამართა სამატრო შეხვედრა ადგილობრივ და ლის საშუალო სკოლის მოსწავლე-ფიზკულტურელთა შორის კალათბურთსა და ფრენბურთში.

სპორტის ორივე სახეობაში გამარჯვება მოიპოვეს მასპინძლებმა. ფრენბურთში ანგარიშით — 2:1, ხოლო კალათბურთში — 32:8.

ა. ქუხილავა

ორ დღეს გრძელდებოდა ხულოს რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ და კლასიკურ ჰიდაობაში. ქართულ ჰიდაობაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ხულოს საშუალო სკოლის გუნდმა, კლასიკურში — სოფელ დიდაჭარის გუნდმა.

რ. მიჭაბერიძე

მეორე საშუალო წონაში არიან: ოლიმპიური ჩემპიონი გ. შატკოვი (ლენინგრადი), ვ. ლუკაშენკო (ვლადიმირი), ა. ბონდაროვი (სტალინი), ე. ფოფანოვი (მოსკოვი), გ. ნემიენი (მინსკი), რ. სარქისოვი (მოსკოვი), რ. აკოფოვი, ნ. დარბასელი (ორივე თბილისი).

ქვემძიმე წონაში გამოვლენ: ვ. ჩერნოზოვი (ლვოვი), ბ. დიომინი (კიევი), ა. ლასოტა (მოსკოვის ოლქი), გ. პლუშკოვი (ორენბურგი), რ. მურაუსკასი (კაუნასი), მ. დვორკინი (ულან-უდე), ფ. პიდფანჯიანი (ერევანი), თ. მიქაელაინი (თბილისი).

მძიმე წონაში არიან: საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ა. ამრამოვი (მოსკოვი), ოლიმპიური თამაშების პრიზორი ლ. მუხინი (რუსეთი), ლ. სენკინი (მოსკოვი), ა. სტოლაროვი (ჩიხა), ა. ნურმინაიოვი (ალმა-ატა), ი. ლანცერსი (რიგა), კ. ბაბახანიდი (თბილისი), ს. ცვეკი (რიგა).



ფინანსის მონაწილენი

რ. ტამულისი (კუნასი), ბ. ცხვირაშვილი (ბაქა).
მეორე ქვესაშუალო წონაში გამოვლენ: გასული წლის ჩემპიონი ი. გრომოვი, ვ. ლოგინოვი, გ. ბოიარინოვი (მოსკოვის ოლქი), ბ. პრუპასი (მინსკი), ი. რადონაიკი, ბ. ლაგუტინი, ვ. ლევინი (ყველა მოსკოვიდან), ი. ბუდმანი (ტაშკენტი).
პირველი საშუალო წონის ფინანსში მოხდნენ: გასული წლის ჩემპიონი ს. ისაევი (მოსკოვი), ვ. ვასინი (ლენინგრადი), ლ. პურფონსკი (ლენინგრადი), ვ. გორობიოვი (მოსკოვის ოლქი), ა. კორონისლოვი, ჩ. მიტუნოვი (ორივე მოსკოვი), კ. ჯანკოიანი (ერევანი), ა. კოლენსიკოვი (ახალციხე).

როგორც ცნობილია, მოსკოვში, მინსკში, ლვოვსა და თბილისში დამთავრდა მოკრძევა საქვეშრო პირველობის ზონალური ტურნირები. ამ შეჯიბრებებში პირველ-მეორე ადგილებზე გამოსულმა სპორტსმენებმა სემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღეს. აი ვინ მოიპოვეს საპატიო წოდება:

უმჩატეს წონაში — გასული წლის ჩემპიონს, ლენინგრადელ ვ. სტოლნიკოვს ბრძოლა პირველობისათვის მოუხდებდა გამოცდილ ოსტატებთან რ. მუსაელიანთან (ბაქა), გ. ვასპარიანთან (ერევანი), ვ. ტრეტიაკთან (რიგა), ვ. კოსტიუკოვთან, ვ. ბისტროვთან (ორივე მოსკოვი), ბ. მინაისთან (ხერსონი) და ლენინგრადელ მ. რუშინსკისთან.

მჩატე წონის ფინალში გავიდნენ: გასული წლის ჩემპიონი მოსკოველი ბ. სტეპანოვი, ი. ვასინი (ლვოვი), ა. ზასუხინი (მინსკი), ო. გროგორიევი, ვ. ტაბაშვილი (ორივე მოსკოვი), ე. ჩობანი (ლვოვი), ვ. კლუბნიკინი (ლენინგრადი), ს. ჩატულიდი (თბილისი).

ქვემსუბუქ წონაში გამოვლენ გასული წლის ჩემპიონი ა. ზასუხინი (სმოლენსკი), ვ. კოზირიცი, ბ. ნიკანოროვი (ორივე მოსკოვიდან) ვ. საფრონოვი (მოსკოვის ოლქი), გ. შვარცი, ნ. რუკვი (ორივე ლენინგრადი), გ. ბუმბაშვილი (თბილისი), კ. კარაბეიანი (ერევანი).

მსუბუქი წონის ფინალში მოხდნენ: გასული წლის ჩემპიონი ნ. სპირნოვი (მოსკოვი), ა. ლაგეტკო (კრასნოდარი), ვ. სვირიდოვი (კიროვი), ა. ტუგინი (რიგა), ს. ლომკინი (მოსკოვი), ა. არეფევი (კემეროვი), ა. ბორისოვი (რუსეთი) ვ. აგრონოვი (ტაშკენტი).

პირველ ქვესაშუალო წონაში არიან: ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ენგაბარინი (ერევანი), დეკტაროვი (ლვოვი), ე. ლაპინი (მოსკოვი), ი. კრილოვი (ლენინგრადი), ბ. სიმონინი (მოსკოვი), ა. დარგუსოვი (ლენინგრადი),

ახალი ვალდებულებები იკისრეს

ამას წინათ ბათუმში შედგა მძღველანობის მწვრთნელთა თათბირი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის საქრები გუნდების მწვრთნელთა ინიციატივასთან დაკავშირებული საკითხები. აპარელმა მწვრთნელებმა აიღეს ახალი ვალდებულებები. ასე მაგალითად, ი. ბეზროდნიმ ივალდებულა ერთი სპორტის ოსტატი (მ. ტუღუშვილი), ორი პირველთანრიგოსნის (ვ. მიქაეა და ე. ფილიევი) და სამი მეორეთანრიგოსნის მომზადება. ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სხვა მწვრთნელებმაც: ა. უკმაუნდა მოამზადოს ერთი სპორტის

ოსტატი (ლ. გურგენიძე), 6 პირველთანრიგოსანი (მ. ნედელია, ვ. ბაზალენკო, ა. ხოლოვი, ტ. რაუმანოვი, ე. ლუკაშოვი, ა. ერინი) და 4 მეორეთანრიგოსანი მძღველანის. მ. მამუჩაძემ იკისრა ერთი პირველთანრიგოსნის (გ. ბოხუა) და 4 მეორეთანრიგოსნის მომზადება. მწვრთნელმა კ. გიორგაძემ — ერთი პირველთანრიგოსნის (ა. ხაბურზანია) და 4 მეორეთანრიგოსნის მომზადება და ა. შ. ვალდებულებები აიღეს აგრეთვე მწვრთნელებმა დ. ნიკოლაიშვილმა, ს. გაზარიანმა, ნ. ჩორგოლაშვილმა და სხვებმა.



„ბურევესტიის“ მოქიდევა საქვეშრო შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა უმჩატესი წონის მოქიდევემ, ახალგაზრდა ქუთაისელმა ზაურ შეყრილაძემ. მან საზოგადოების უმლიერეს მოქიდევეებთან ბრძოლაში დაიკავა პირველი ადგილი. სურათზე ოქვენ ხედავთ ზაურ შეყრილაძეს, რომელსაც „ბურევესტიის“ რესპუბლიკური ხაბუის თავმჯდომარე, სპორტის დამახურებელი ოსტატი ბ. პაიქაძე გადასცემს სიგელსა და საჩუქარს.

შეგი იწარმოებს ერთ-ერთ ზონაში პირველ ადგილზე. მონაწილე გუნდები 1959 წელს ითამაშებენ მეორე ჯგუფში. მესამე ჯგუფში სთამაშოდ დაიშვებიან ქალაქებისა და რაიონების გუნდები, რომლებიც შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ.

პირველი ჯგუფის გუნდებისათვის დაწესებულია მთელი რიგი შეზღუდვები. მაგალითად, ყოველ მატჩში გუნდის შემადგენლობაში 7 მოთამაშე უნდა იყოს 23 წლის ასაკამდე და მხოლოდ 4 — ამ ასაკს ზევით. სპორტის ოსტატისათვის ასაკი განსაზღვრული არაა.

წინამდებარე საფეხურით სეზონის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ჩვენი რესპუბლიკის ფეხბურთელები გუნდების შემადგენლობაში პროგრესი და ოსტატისათვის სიძველო ცვლის აღზრდა. გასული სეზონში ზოგიერთმა ჩვენმა გუნდმა რამდენადაც აამაჟს თამაშის კლასი, მაგრამ არა ისე, როგორც ეს მათ მოეთხოვებოდა. ამის ნათელი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს ოსტატთა გუნდებმა ერთობ მკიერეციხოვანი შეესება მიიღეს რესპუბლიკის პირველობაზე მონაწილე გუნდებიდან.

მოთამაშეთა მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა, მათი სათანადო ფიზიკური და ტექნიკური მომზადება იმ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, რომელიც აუცილებელი საფუძველია გუნდების ტაქტიკის შემდგომი სრულყოფისათვის. ამ მიმართებით როგორც მწვრთნელს, ისე ფეხბურთელსაც ბევრი რამ აქვთ გასაყვებელი. თამაშის ტაქტიკა უნდა მრავალფეროვანი და მდიდარი გახდეს.

გასული წლის პირველობის თამაშებმა ცხადყო ჩვენი ფეხბურთელების სუსტი ტექნიკა, მათი გაუბუნაობა: გადამწყვეტ მომენტებში, სუსტი თამაში თავით, არაზუსტი გადაცემები და ა. შ.

წარმატებათა მისაღწევად საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს სასწავლო-საწვრთნელი და პოლიტაღმზრდელთა მუშაობა, დისციპლინა, შრომისმოყვარეობა. მწვრთნელებმა მოთამაშეთა შორის ღრმად უნდა შედგეს მტკიცეთა ის ჩვევა, რომ სერიოზული და სისტემატური მუშაობის გარეშე ფიქრიც კი წარმოუდგენელია წარმატების მოპოვებაზე. ტაყვის ბურთის ნამდვილ ოსტატად გახდება მხოლოდ ის, ვინც დაუღალავად სრული წლის განმავლობაში მუშაობს.

დიდი ამოცანები დგას მათ წინაშე. ვინც ემსახურება რესპუბლიკის პირველობის მატჩებს, ჩვენ ვერ ვერ დავიკვირებით ჩვენი მსაჯების მაღალი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული მომზადებით. იშვიათი როლია შემთხვევები, როცა მსაჯები ვერ იჩენენ სამართის პრინციპულობასა და მომთხოვნელობას. ბევრი ვერ ერკვევა შექმნილ სიტუაციაში, ვერ ხელმძღვანელობს თამაშს. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ ფეხბურთელთა გუნდების ხელმძღვანელობა, მწვრთნელები არ ზრუნავენ იმის შესახებ, რომ მოთამაშეებს ჩაუნერგონ მსაჯისადმი პატივისცემის გრძნობა.

ფიზკულტურისა და სპორტის ედგილობრივი კომიტეტები და სტადიონების ადმინისტრაცია ხშირად არ ზრუნავენ იმაზე, რომ თამაშის დროს სტადიონზე იყოს სრული წესრიგი. საჭიროა დროზე შეკეთებულ იქნას სათამაშო მიწები, გასაბედლები. მოთამაშეებსა და მსაჯს უნდა მქონდეთ ყველა პირობა შეხვედრის ნორმალურად ჩატარებისათვის. სწორედ ამიტომაც მიღებულია გადაწყვეტილება, რომ თუ სტადიონი და სათამაშო მიწა არ იქნა წესრიგში, თამაში გადატანილი იქნება მოწინააღმდეგე გუნდის მიწაზე.

დ. ცომიაი, ხახლმწიფო მწვრთნელი ფეხბურთში.



ახალგაზრდა მოქანდაკის — კარლო ბაკურაძის ჯერ კიდევ ადრე, სტუდენტობის წლებში იზიდავდა სკორტული თემატიკა, მისი მხატვრული სფეროში ასახვის პერსპექტივა ახის შედეგი იყო, რომ თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების ხანს, 1952 წელს, მან სადიპლომო შრომისათვის სწორედ ეს თემა აირჩია და წარმატებითაც დაძლია იგი. „ფეხბურთელი“ — ასე ეწოდებოდა კ. ბაკურაძის ამ სკულპტურულ ნაშრომს, რომელიც მან საგამოცდო კომისიის წინაშე წარადგინა, დაიცვა და მაღალი შეფასება მიიღო. მაგრამ საქმე ამით როდის ამოიწურა, სწორედ ამ პერიოდში, სოხუმში დარბაზის მშენებლობა იყო გათვალისწინებული და მისი ფასადის დასამშვენებლად არქიტექტორებმა სწორედ კარლოს ნაშუუვარზე შეაჩერეს არჩევანი.

დღეს, თუ გვერდს ჩაუვლით სოხუმში აგებულ ხსენებულ სკორტდარბაზს, თქვენს ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს გემოვნებით შესრულებული, ნატურალური ზომის „ფეხბურთელი“.

აკადემიის დამთავრების შემდეგ სკორტი კიდევ უფრო ორგანულად დაეუკუთვნა ახალგაზრდა სკულპტორის შემოქმედებით ინტერესებს. 1952 წლიდან ვიდრე 1954

წლამდე, ის გატაცებით მუშაობდა რთული ჩანაფიქრის ხორცშესხმაზე, რასაც ფეხბურთელთა ბრძოლის ერთ-ერთი უმწვევები ეპიზოდული უნდა გადმოეცა მყურებელთათვის სკულპტურის ენით. იდეა ასეთი იყო: ორ სკორტსმენს, მოწინააღმდეგეებს, მეკარეს და თავდამსხმელს კომპოზიციურად უნდა წარმოედგინა სახიფათო მომენტი კართან ისე, რომ უძრავ და უტყვე საძირკე მასალაში სრულად შენარჩუნებულიყო სკორტული თამაშის დინამიკა, სიმწვავე და ბრძოლაში პირისპირ წარმდგარ სკორტსმენთა დამახასიათებელი შტრიხები.



ბიცი ასევე ეწოდა ამ ნაწარმოებს „პირისპირ“, რომელშიც ავტორმა ხანგრძლივი, გატაცებული, ბეჯითი შემოქმედებითი შრომა ჩაქსოვა და მაღალი ოსტატობით წარმოსახა კართან გასული თავდამსხმელის ფეხებში მეკარის თავდაწირული ნახტომი. შეუძლებელია ამ ნაწარმოებს შეხედოთ ისე, რომ მძაფრად არ იგრძნოთ ფეხბურთის მოყვარულთათვის ესოდენ ნაცნობი განცდა, რომელიც მას მწვავე მომენტის უამრავი ეუფლება, და აღტაცება, რომელსაც მეკარის ღამაში ნახტომი იწვევს. ყოველივე ეს ახალგაზრდა ხელოვანის შემოქმედებით წარმატებულ მეტყველებს, ამისავე დადასტურებაა ის გარემოება, რომ კ. ბაკურაძის „პირისპირ“ ამჟამად მსოფლიო მყურებელთა სამსჯავროს წინაშე წარმსდგარი ქართველ მხატვართა სხვა ნაწარმოებებთან ერთად საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხე-

ლოვნების სადეკადო გამოფენაზე. ახალგაზრდა მოქანდაკის შემდგომი სკორტული ნაწარმოებები იყო სკორტის დამახასიათებელი ოსტატის, მოკრივე ა. ნავასარდოვისა და პირველი ქართველი მფრინავი ქალის — რუსულდან უორდანიას პორტრეტები.

სკორტული თემატიკა დღესაც შეუწულებელი ინტერესით იზიდავს კ. ბაკურაძის. ამჟამად ის ამ თემას რამდენიმე ნაწარმოებს უძღვნის. ეს-ესა მხატვარმა მუშაობა



დაამთავრა ესკიზზე — „ქართველი ტურისტები“. ესკიზი ტურისტულ ტანსაცმელი გამოწყობილ ვაჟაკს წარმოადგენს. მას მარჯვენა ხელი აქვს აღმართული, რაც, ავტორისეული ჩანაფიქრით გზად მიმავალი ტურისტებისადმი მისალმება და მოწოდებას გამოხატავს. დამთავრებული ესკიზია აგრეთვე „კუთხური დარტყმა“, რომელიც სკორტული ბრძოლის შემდეგ მომენტს წარმოადგენს: თავდამსხმელი ჩამოწოდებული ბურთის მისაღებადაა მზად, მაგრამ მას მაღალი ნახტომით ასწრებს მეკარე და ბურთს ხელთ იგდებს. დამთავრებისა და სრულქმნის პროცესშია მესამე ესკიზიც — „თამაში მოწინააღმდეგის კარზე“. ეს თემა მხვილგონივრული გადაწყვეტით შეისხამს ხორცს: მეკარე უზრუნველ, თავისუფალ პოზაში დგას და წინ იყურებს; მისი გუნდის მიერ წარმართულ ხანგრძლივ და საფუძვლიან შეტევაზე მეტყველებს კიდევ ის შტრიხი, რომ მას ცალხელზე ხელთათმანი გახდის აქვს და როგორც ჩანს, არც ჩქარობს მის ჩაცმას.

ეჭვი არ არის, რომ საბოლოო ფორმირების შემდეგ ხსენებული ნაწარმოებებიც გავახარებენ ახალგაზრდა მოქანდაკის მაღალი ოსტატობით, გემოვნებითა და რეალისტური შესრულებით.

შ. გარდოსანიძე
სურათზე: კ. ბაკურაძის ნაწარმოებები. ზევით — „პირველი მფრინავი ქალი რ. უორდანიას“, „მოკრივე ა. ნავასარდოვი“, ქართველი ტურისტები“.

ფოტო დ. იაკობაშვილისა


არ გვერთო, რომ ვ. სმისლოვმა ან მ. ბოტვინიკმა ბინა გამოიცივალს. მსოფლიო ჩემპიონი ისევე ცხოვრობს აჯახების მოედანზე მდებარე მრავალსართულიან სახლში. თქვენ რომ ზაფხულის გრილ საღამოს მოხვდეთ ამ მოედანზე, ალბათ გაიგონებთ მსოფლიო ჩემპიონის სასიამოვნო ბარიტონს. ბოტვინიკი ძველ ადგილზე ცხოვრობს. მაგრამ შეიცვალა მხოლოდ მისი ქუჩის ძველი სახელწოდება ახლით — მშვიდობის პროსპექტი!

მაშ რომელი მისაპარტი შეიცვალა? ჩიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზი შეცვალა ახალგაზრდა სსსრ-ის „სოვეტსკაია“ საკონცერტო-თეატრალურმა დარბაზმა. რასაკვირვებელია, მრავალი მოყვარული მიხვდა თუ სად იყო ეს შენობა და იქით გაემართა. მაგრამ აღმოჩნდნენ გულბურყვილონიც.

პირველი პარტის დღეს მე შემთხვევით აღმოვჩინე მაიაკოვსკის მოედანზე, იქ, სადაც ჩიკოვსკის სახელობის დარბაზი. მეტროში ვაგონიდან გამოსვლისას შევნიშნე ერთი სოლიდური გარეგნობის კაცი, რომელიც უხეშად თავზაობდა მგზავრებს მეჯღაღღუნებს და გასასვლელისკენ ჩქარობდა. იგი სწრაფად ამოვიდა ზევით... წარმოადგინეთ მისი გოცებულები სახე — „დღეს სიმფონიური ორკესტრის კონცერტი...“ (არა გ. შტალბერგის ხელმძღვანელობით) — ეწერა აფიშაზე.

ეს მოხდა პირველ პარტიამდე. სმისლოვმა თამაში დაიწყო მისთვის ჩვეული მეფის წინამდებარე პაიკის ორ უჯრანზე გადაღვით. ასევე დაიწყო მან წინა მატჩში მე-11 პარტია. ბოტვინიკმა უმაღლეს უპასუხა. ეს რა? გაკვირვებული სმისლოვი იშმენდს სათვალევებს, დარბაზში ყრუ ხმაურია. ბოტვინიკმა აირჩია კარო-კანის დაცვა, რომელსაც იგი თავის პრაქტიკაში არასოდეს აჩიყვებდა.

პრეს-ბიუროში, სადაც თავი მოიყარეს გროსმაისტერებმა და ოსტატებმა, ამან ყველა ააფორიაქა. ზეიმობს მხოლოდ სლო ფლორი. რამდენჯერ „გულანდავთ“ იგი პრესაში ამ თითქოს უფარგისი, უპერსპექტივო დებიუტის თამაშისათვის. ახლა კი მის მხარეზე თვით ბოტვინიკი გადმოვიდა. მაშ არ არის საზეიმო?




ახალიგაზრდა მხატვართა კლუბი
უსიტყვოდ.
ნახ. ა. ერადისა



ბის ვამარჯვებთ აღინიშნა—95:72. ვარშავა. პოლონეთის 1958 წლის ჩემპიონის წოდება კრივიში მოიპოვა ვარშავის გუნდმა „ლეგია“.

და ინგლისის ჩოგბურთელთა საერთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრამ ვერ გამოავლინა უძლიერესი. მატჩის ანგარიშია 5:5.



რედაქტორი ი. უზულაძე.